ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,

განათლებისა და კულურის კომისიის თავმჯდომარის

თამარ ტალიაშვილის

2017 წლის ანგარიში

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის თამარ ტალიაშვილის მიერ 2016 წლის 1 ნოემბრიდან 2017 წლის ოქტომბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიში

2016 წლის 1 ნოემბრიდან 2017 წლის ოქტომბრის ჩათვლით დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 სხდომის მუშაობაში. სულ აღნიშნულ პერიოდში გაიმართა საკრებულოს 27 სხდომა.

საანგარიშო პერიოდში ფრაქციმ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" ჩაატარა 15 სხდომა, რომელზეც განხილული იყო 16 საკითხი. დეპუტატი თამარ ტალიაშვილი, რომელიც იკავებს აღნიშნული ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას, დაესწრო ფრაქციის 15 სხდომას.

საანგარიშო პერიოდში თამარ ტალიაშვილმა, რომლიც ასევე არის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი, მონაწილეობა მიიღო აღნიშნული კომისიის 18 სხდომაში და განიხილა 196 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიამ, რომლის თავმჯდომარე არის თამარ ტალიაშვილი, გამართა კომისიის 17 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 26 საკითხი, მათ შორის:

1. **სხდომა 1 – 8 ნოემბერი, 2016 წელი**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (#04/18754; 04.11.2016).

2. **სხდომა 2 – 18 ნოემბერი, 2016 წელი**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა (#04/19055; 15.11.2016);

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისის ღონისძიებების ცენტრის" (ს/კ 404906170) ლიკვიდაციის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (04/19195; 17.11.2016);

3. **სხდომა 3 – 15 დეკემბერი, 2016 წელი**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (#04/20047; 09.12.2016);

4. **სხდომა 4 – 27 დეკემბერი, 2016**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენის თაობაზე“ (04/20655; 23.12.2016);

5. **სხდომა 5 - 20 იანვარი, 2017 წელი,**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - ხელოვნების სკოლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“ სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების წახალისების მიზნით) დაფინანსების პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე (04/763; 18.01/2017);

6. **სხდომა 6 - 23 იანვარი, 2017 წელი,**

- ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წლიური ანგარიშის განხილვა 2016 წელს განხორციელებული სამუშაოების შესახებ;

7. **სხდომა 7 -23 თებერვალი, 2017 წელი,**

- სსიპ ქალაქ თბილისის 9 საჯარო სკოლისათვის ნოდარ ახალკაცის სახელის მინიჭების თაობაზე (#06/298. 11.01.2017);
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ივლისის N18-50 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (#04/2262; 17.02.2016);

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (#04/2339; 21.02.2017);

8. სხდომა 8 - 23 მარტი, 2017 წელი,

- ქ. თბილისის მუნიიპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახლაგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის 2016 წლის ანგარიში;
- ა(ა)იპ „სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალური ცენტრის“ (ჩემი ადვოკატი) 2016 წლის ანგარიში;
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის N9-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (04/3093);

9. სხდომა -24 მარტი, 2017 წელი,

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" (04/3345; 20.03.2017)
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" (04/3345; 20.03.2017);

10. სხდომა 10 - 28 აპრილი, 2017 წელი,

- სსიპ 150-ე საჯარო სკოლისათვის ალექსანდრე ცინცაძის სახელის მინიჭების თაობაზე (#06/3220; 06/3809).

11. სხდომა 11-11 მაისი, 2017 წელი,

- ქ. თბილისში გარე აბრებზე ქართული ენის დაცვის საკითხი - კანონმდებლობა და პრაქტიკა მუნიციპალურ დონეზე.

12. სხდომა 12 - 6 ივნისი, 2017 წელი,

- სსიპ ქ. თბილისის 150-ე საჯარო სკოლისთვის ალექსანდრე ცინცაძის სახელის მინიჭების თაობაზე.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ;

13. სხდომა 13 - 26 ივნისი - 2017 წელი,

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურეობრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

14. სხდომა 14 - 25 ივლისი, 2017 წელი,

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (04/8353; 21.07.2017);

15. სხდომა 15 - 15 აგვისტო, 2017 წელი

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე (№04/8993 11.08.2017);

16. სხდომა 16 - 29 სექტემბერი, 2017 წელი

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისი“ საორგანიზაციო ჯგუფის მოსმენა;

17. სხდომა 17 – 30 ოქტომბერი, 2017 წელი

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის განხილვა;

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის განხილვა.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრები

საანგარიშო პერიოდში დეპუტატის თამარ ტალიაშვილის ინიციატივით განათლებისა და კულტურის კომისიასთან შეიქმნა სხვადასხვა თემატიკის სამუშაო ჯგუფები:

1. თბილისის ბაგა-ბაღებში „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე ნორმატიული აქტების შეიმუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი:

აღნიშნულმა ჯგუფმა საანგარიშო პერიოდში გამართა 3 სამუშაო შეხვედრა - 25 იანვარი, 10 თებერვალი, 13 მარტი.

სამუშაო შეხვედრებში გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის, იურიდიული და სარევიზიო კომისიების, ქ. თბილისის მერიის იურიდიული სამსახურისა და თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლებთან და ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელ პირებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების საკრებულოების წარმომადგენლებმა. შეხვედრებში მონაწილეობდნენ ბორჯომის, ქობულეთის, ყვარლის, სამტრედიის, ქარელის, ბოლნისის, თიანეთის, გორის, დედოფლისწყაროს, ზესტაფონის, ლანჩხუთის, გარდაბნის, ბაღდათის, ჩხოროწყუს, ჭიათურის, ოზურგეთის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოებისა და ოზურგეთისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების მერიის წარმომადგენლები.

სამუშაო ჯგუფის მიზანია, შეიმუშავოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომელიც დაარეგულირებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების გარე მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშების, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგის და შეფასების სისტემებს, განსაზღვრავს სამსახურებრივ ინსტრუქციებს, ქცევისა და ეთიკის ნორმებს დაწესებულების პერსონალისთვის, შეიმუშავებს დაწესებულების პერსონალის პროფესიულ სტანდარტებს და დაადგენს საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

2. დედაქალაქში გარე აბრებზე ქართული ენის დაცვის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

გარე აბრებზე ქართული ენის დაცვის საკითხთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფში ჩართულნი არიან, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, საქართველოს პარლამენტის წევრი, საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელი, ფოტოჟურნალისტი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენელი, თსუ-ს ლექსიკოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის წარმომადგენელი, თბილისის მერის მოადგილე, თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი, თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე და განყოფილების უფროსი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მრჩეველი იურუდიულ საკთხებში, დეველოპერული კომპანია „სიმეტრიის' დიექტორის მოადგილე, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის სამართლებრივმი ექსპერტი, საქართველოს ბიზნესის ასოციაციის ანალიტიკოსი.

შეხვედრებზე მიღებული გადაწყვეტილება იქნა, რომ მხარეები პრობლემის გადაჭრის მიზნით იმუშავებენ რეკომენდაციებსა და ქართული ენის გარე აბრებზე დაცვის კუთხით ცნობიერების ამაღლების კამანიაზე.

ურთიერთობა სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან

საკრებულოს დეპუტატი თამარ ტალიაშვილი არის საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALA) აღმასრულებელი საბჭოს წევრი და აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციის (CORLEAP) დელეგაციის წევრი, რომლის ფარგლებშიც საანგარიშო პერიოდში:

- დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო 2017 წლის 22 მაისს, ქ. მინსკში აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონალური და ადგილობრივი თვითმმართველობის კონფერენციის (CORLEAP) ბიუროს მე-11 სხდომაში, რომლის განხილვის თემას წარმოადგენდა ენერგეტიკული ეფექტურობის, ტურიზმისა და სამუშაო ადგილების შექმნასთან დაკავშირებული საკითხები. სხდომაზე, ასევე შეჯამდა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებათა კონფერენციის (CORLEAP) დაფუძნებიდან 5 წლის განმავლობაში გადადგმული ნაბიჯები.

2017 წელს თამარ ტალიაშვილის ინიციატივით დაიწყო პროექტი „ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში - ევროპული ქარტიის პრინციპები“. პროექტის მიზანს „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა.

პროექტი ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერითა და გაერო-ს განვითარების პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობის (UNDP Georgia), ევროპის ასოციაცია ადგილობრივი დემოკრატიისთვის (ALDA) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) პარტნიორობით განხორციელდა.

პროექტის ფარგლებში, კონფერენციები 2017 წლის განმავლობაში საქართველოს 4 რეგიონში, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გაიმართა.

კონფერენციების მიზანს, რომელზეც მოწვეული იყო გენდერულ საკითხებში ნორვეგიის ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციის ექსპერტი ლის შანკი, ადგილობრივი თვითმართველობების წარმომადგენლებისთვის ევროპული ქარტიის პრინციპების უკეთ გაცნობა და ადგილობრივ დონეზე ქალთა პოლიტიკური თუ სოციალური ჩართულობის გაზრდა წარმოადგენდა.

აღნიშნულ რეგიონალურ კონფერენციებში აქტიურად იყო ჩართული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭო. აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის გენდერული საბჭოს წევრები, აღნიშნული რეგიონების 29 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები და ადგილობრიი არასამთავრობო ორგანიზაციები. მონაწილეები ჩაერთნენ დისკუსიაში „ქალები ადგილობრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში - პერსპექტივები და გამოწვევები საქართველოში“.

კონფერენციების შედეგად, მუნიციპალიტეტებმა დაიწყეს მუშაობა გენდერული საბჭოებისა და სტრატეგიების შექმნაზე და მათგან რამდენიმემ უკვე შეიქმნა.

განცხადებები

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული და გასული განცხადებების სტატისტიკა არის შემდეგი:

სულ განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადების რაოდენობა არის 227, ხოლო კომისიის სამდივნოს მიერ გაგზავნილია 159 წერილი, განმარტებთ ჩამოიწერა 40. (მონაცემები არ მოიცავს სადღესასწაულო მილოცვებთან და სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებასთან დაკავშირებული კორესპოდენცია).

მოქალაქეთა მიღება

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი შეხვდა 73 მოქალაქეს. მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ საკუთარი საკითხის პირადად განხილვა კომისიის თავმჯდომარესთან.

ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თამარ ტალიაშვილის ინიციირებით მოეწყო შემდეგი ღონისძიებები:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში წიგნის საჯაროდ კითხვის დღე აღინიშნა. დეპუტატმა, ამ თარიღთან დაკავშირებით, ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს საჩუქრად საბავშვო წიგნები გადასცა.

  საკრებულოს დეპუტატი თამარ ტალიაშვილი და ფოტოჟურნალისტი გოგა ჩანადირი თბილისის N7 საჯარო ბაგა-ბაღს ესტუმრნენ, ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს საბავშვო მოთხრობები წაუკითხეს და ბავშვებს განათლებისა და წიგნიერების მნიშვნელობაზე ესაუბრნენ.
- თბილისის საკრებულოში თბილისის სკოლების წარჩინებული კურსდამთავრებულების ოქროს მედლებით დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. თბილისის გლდანი-ნაძალადევის, დიდუბე-ჩუღურეთისა და ძველი თბილისის რაიონების წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ოქროს მედლები გადასცეს და მომავალი წარმატებები უსურვეს საქართველოს ვიცე-პრემიერმა, განათლებისა და მეცნირების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი

ალიბეგაშვილმა და განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ თამარ ტალიაშვილმა.

ასევე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა და საკრებულოს დეპუტატებმა ოლიმპიადაში გამარჯვებულ მედალოსნებს XII საუკუნის არტეფაქტის მიხედვით შექმნილი ხოხბის გამოსახულების სტილიზებული კერამიკული ნაკეთობა გადასცეს.

- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განალებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, დედამიწის დღის აღსანიშნავი კვირეულის ფარგლებში საკრებულოსა და საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ერთობლივი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებას ასევე ესწრებოდა საკრებულოს დეპუტატი ზაქარია კოლელიშვილი.

  ღონისძიების ფარგლებში, თბილისის მუნიციპალური ხელოვნების სკოლების, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლების ფილიალების, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლისა და გალერეის აღსაზრდელებმა სხვადასხვა აქტივობებში მიიღეს მონაწილეობა.

  აღსაზრდელებმა შეაგროვეს ჰერბარიუმი, ბოტანიკურ ბაღში არსებული მცენარეული ნარჩენებისგან შექმნეს კომპოზიციები, გააკეთეს ჩანახატები და დარგეს მცენარეები. დღესვე მოსწავლეებისთვის შემეცნებითი ტური მოეწყო, რის ფარგლებშიც ბოტანიკურ ბაღში დაცული მცენარეების უნიკალურ სახეობებს გაეცნენ.

  დედამიწის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ თბილისის მუნიციპალური ხელოვნების სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების ფილიალების, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლისა და გალერეის დირექტორები, პედაგოგები და აღსაზრდელების მშობლები.

- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა და განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ თამარ ტალიაშვილმა „PH International-საქართველოს“ სამოქალაქო განათლების პროგრამის ხელმძღვანელები და მონაწილე მოსწავლეები საკრებულოში მიიღეს და ორგანიზაციის „PH International - საქართველოს“ და სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ დირექტორს მარინა უშვერიძეს პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის მადლობის სიგელები გადასცეს.

სტუმრებმა საკრებულოს ისტორიული შენობა დაათვალიერეს და ასევე შეუერთდნენ საკრებულოს პროექტს ,,გადაწერე ვეფხისტყაოსანი".

ღონისძიებას თბილისის საკრებულოს დეპუტატები ია მაკასარაშვილი და ზაზა კოლელიშვილი, ,,PH International-ს - საქართველოს" ოფისის დირექტორი ბერდია ნაცვლიშვილი და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობა" 2015 წლიდან დაიწყო, რომელსაც ორგანიზაცია PH International აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს. პროგრამის ფარგლებში სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით საქართველოს ყველა რეგიონში 480 სკოლას დახმარება გაეწია.

ასევე, საანგარიშო პერიოდში დეპუტატ თამარ ტალიაშვილის ინიციატივით გაიმართა სხვადასხვა ოფიციალური შეხვედრები, მათ შორის:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ალიბეგაშვილისა და განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თამარ ტალიაშვილის შეხვედრა კონკურსის ,,თბილისი" გამარჯვებულებთან. დეპუტატებმა სტუმრებს საკრებულოში უმასპინძლეს, პოეზიის დღე მიულოცეს და ჟურნალის ,,ცისკარი" სპეციალური ნომრები გადასცეს, რომელშიც კონკურსის გამარჯვებულ ავტორთა ნაწარმოებებია დაბეჭდილი.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ახვლედიანისა და განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თამარ ტალიაშვილის შეხვედრა პოლონეთის კულტურის სამინისტროს ჭარმომადგენლებთან - სახელმწიფო პატრონაჟის დეპარტამენტის უფროსს მასია დაიდოსა და სტრატეგიის, ანალიზისა და შემოქმედებითი სექტორის ხელმძღვანელ ანნა კენნოას შორის.

  შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას არსებულ კულტურათაშორის ურთიერთობებსა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრეს.

- განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თამარ ტალიაშვილისა და საქართველოში ბრიტანეთის საბჭოს აღმოსავლეტ პარტნიორობის კულტურისა და კრეატიულობის პროგრამის ექსპერტს იულია პოპოვიჩს შორის შეხვედრა.

საკრებულოს დეპუტატმა ექსპერტისგან საქართველოში ბრიტანეთის საბჭოს აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურისა და კრეატიულობის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტებისა და საშემსრულებლო კუთხით ევროპული გამოცდილების შესახებ მიიღო ინფორმაცია.

შეხვედრის დასასრულს მხარეებმა მომავალში ორმხრივი თანამშრომლობის შესაძლებლობებზე ისაუბრეს.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ალიბეგაშვილისა და განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თამარ ტალიაშვილის შეხვედრა საქართველოში სტუმრად მყოფ ლიტველ მწერლებთან.
- თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში ახალი სტანდარტების დანერგვისა და ზოგადად, სკოლამდელი აღზრდს სისტემაში არსებული გამოწვევების თაობაზე თამარ ტალიაშვილმა გამართა შეხვედრა სკოლამდელი განათლებისა და ადრეული განვითარების საერთაშორისო ექსპერტ იან პიტერსა და გაერო-ს (UNICEF Georgia) განათლების პროგრამის ხელმძღვანელს მაია ყუფარაძეს.

  შეხვედრაზე მხარეებმა სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებაზე შეთანხმდნენ.
- საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი მივლინებით იმყოფებოდა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებათა კონფერენციის (CORLEAP) ბიუროს მეთერთმეტე სხდომა, რისთვისაც სამდივნომ უზრუნველყო შესაბამისი პროცედურებისა და ინფორმაცია მომზადება.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

საანგარიშო პერიოდში, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თამარ ტალიაშილის იციატივით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები:

- თანამშრომლობის მემორანდუმი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის.
- ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციას შორის.

განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნომ უზრუნველყო მემორანდუმის გაფორმებისთვის საჭირო სამუშაოების განხორციელება.